
კვებითი დარღვევების განსხვავების თავისებურებები ტიპური
განვითარების და განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებში

ელენე წკრიალაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა დარჩია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე წკრიალაშვილი

თარიღი: 25 ივნისი 2019 წელი

აბსტრაქტი

კვებითი სირთულეები საკმაოდ აქტუალური თემაა საქართველოში, რასაც მოწმობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბენეფიციართა აქტიური მიმართვიანობა სერვისის პროვაიდერ ორგანიზაციებში. საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვის და კვლევების მიხედვით კვებითი დარღვევების დროული იდენტიფიცირება და სწორი ინტერვენცია უმნიშვნელოვანესია ბავშვთან მუშაობის პროცესში.

კვებითი დარღვევები საერთო ტერმინია, რომელიც მოიცავს კვებასთან დაკავშირებულ ყველა დარღვევას, მიუხედავად ეტიოლოგიის, სიმძიმისა და შედეგებისა. კვებითი დარღვევა მოიცავს ყველა პრობლემას რაც ხელს უშლის ბავშვისთვის საკვების მიღებას. ჩვეულებრივ, ეს დარღვევები თავს იჩენს უფრო მეტად ბავშვებში, რომელთაც აქვთ სამედიცინო დიაგნოზი ან განვითარების დარღვევები, განსხვავებით ტიპური განვითარების ბავშვებისგან, არასწორმა და დაგვიანებულმა ინტერვენციამ შეიძლება გამოიწვიოს საკმაოდ ხანგრძლივი და მწვავე სამედიცინო პრობლემები, რაც ასევე აისახება ბავშვის ზრდა განვითარებაზე. საერთაშორისო მონაცემებზე დაყრდნობით კვებითი სირთულეები ტიპური განვითარების ბავშვებში 25% დან 35% -მდე ვლინდება, განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში 40% დან 80% მდე, ხოლო ატისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან მაჩვენებელი 90% - ს უტოლდება.

ნაშრომის ფარგლებში შევისწავლით კვებითი სირთულეების განსხვავებული მახასიათებლების გამოვლინებას ბავშვებთან, რომელთა დიაგნოზიც არის აუტისტური სპექტრი ან ბავშვთა აუტიზმი, აქვთ განვითარების სხვა დარღვევები ან

არიან ტიპური განვითარების ბავშვები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაცია— პირველი ნაბიჯის „ბენეფიციარებმა და თბილისის 167-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა. კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 40-მა სხვადასხვა დიაგნოზის მქონე და 20- მა ტიპური განვითარების მქონე ბავშვმა, ჯამში სულ 60 მონაწილემ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კვებითი დარღვევების განსხვავებული თავისებურებების გამოვლინება ტიპური განვითარების ბავშვებსა და განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში, რაც წინაპირობაა სწორი, დროული და ინდივიდუალური ინტერვენციის დაგეგმვის ბავშვებთან კვებითი დარღვევების შემთხვევაში.

კვებითი დარღვევების განსხვავებული მახასიათებლების გამოსავლენად გამოყენებული იქნა წერილობითი გამოკითხვის ფორმა, რომლის ფარგლებშიც მშობლებმა შეავსეს შემდეგი კითხვარები: მოკლე სენსორული პროფილის კითხვარი, პედიატრიული კვების სკალა, ქცევითი პედიატრიული კვების შეფასების სკალა და კვების პროფილის კითხვარი.

კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა კვებითი დარღვევების განსხვავებული მახასიათებლები ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან და ბავშვებთან სხვა განვითარების დარღვევებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს აქვთ უფრო მეტი კვებითი სირთულეები, ვიდრე ბავშვებს სხვა განვითარების დარღვევებით და ტიპური განვითარების შემთხვევაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კვებითი დარღვევები, ტიპური განვითარება, აუტისტური სპექტრი, განვითარების დარღვევები, განსხვავებული მახასიათებლები.

Abstract

Feeding difficulties is a quite actual topic in Georgia which is evidenced by active referrals from beneficiaries to service provider organizations regarding the mentioned issue.

According to the reviews of international literature and studies timely identification of feeding disorders and proper intervention is most important during the working process with a child.

feeding difficulty is an umbrella term encompassing all feeding problems, regardless of etiology, severity or consequences. feeding disorder in children refers to an inability or refusal to eat sufficient quantities or variety of food.

Usually such kind of disorders appears in children with medical diagnosis or developmental disorders. Unlike children with typical development improper and late intervention may cause quite long-lasting and acute medical problems that also affect child's growth and development.

Based on international data feeding difficulties appearing 25%-35% of children with typical development, in 40%-80% of children with developmental disorders, and in 90% of children with autistic spectrum disorders.

Within the framework of this study we will learn about different characteristics of feeding difficulties in children with the diagnosis of autistic spectrum or children's autism, with other developmental disorders or children with typical development.

Participants of the study were beneficiaries of —First Step Georgian and children from Tbilisi kindergarten N167. Total number of participants amounted to 60 from which 40 children had various diagnosis and 20 children were with typical development.

The purpose of the study was to show occurrence of different characteristics of feeding difficulties in children with typical development and also in children with developmental disorders which is a precondition to plan proper, timely and individual intervention in case of feeding disorders in children.

To reveal different characteristics of feeding disorders we used a form of written inquiry, a questionnaire of sensory profile for parents, Behavioral Pediatrics Feeding Assessment Scale and a questionnaire of feeding profile.

Based on the study results different characteristics of feeding disorders were revealed in children with typical development, with autistic spectrum disorders and in children with other developmental disorders.

Study results showed that children with autistic spectrum disorders have more characteristics of feeding disorders than children with other developmental disorders and with typical development.

Keywords: feeding disorders, typical development, autistic spectrum, different characteristics.

მადლობა

მადლობა არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯს—და თბილისის 167-ე საბავშვო ბაღს. კვლევაში მონაწილე ყველა პირს გაწეული დახმარებისთვის და კვლევის მიმართ მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს თეონა დარჩიას გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.